საქართველო

სანოტარო აქტი

ამხანაგობა „საბურთალო 2006“-ის დაფუძნების შესახებ

2006 წლის 23 იანვარი

რეესტრში რეგისტრაციის №1-112

ნოტარიუსი ქეთევან ხოტივარი
ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. 7ა

თბილისი
2006წ.

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ

-ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ამხანაგობის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ,,საბურთალო 2006,,

,,ამხანაგობის წევრთა საერთო კრება"-(შემდგომში საერთო კრება) ამხანაგობის უმაღლესი ორგანო რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის შესახებ. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის ყველა წევრის მიერ.

,,ამხანაგობის დამფუძნებული წევრი"-ფიზიკური პირები რომლებიც ხელს აწერენ ამ სადამფუძნებლო ხელშეკრულების საერთო მიზნის მისაღწევად.

,,ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი"-ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური წევრი, რომლებიც გაწევრიანდებიან ამხანაგობაში საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით.

,,წარმომადგენელი"-ფიზიკური პირი, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე წარმოადგენს ამხანაგობის წევრს საერთო კრებაზე (ან წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ურთიერთობაში).

,,შენატანი"-მოძრავი და უძრავი ქონება, ან უფლებების ერთობლიობა, რომლებსაც ამხანაგობის დამფუძნებლები გადასცემენ საკუთრებაში ამხანაგობას.

,,სასტარტო კაპიტალი"-ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას დამფუძნებლების მიერ ამხანაგობისათვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი და/ან მოძრავი ქონების ჯამი.

,,წილი"-შენობის და მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს ამხანაგობის წევრი.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საქმიანობის მიზანი, სამართლებრივი სტატუსის სახელწოდება.

1.1. ამხანაგობა იქმნება ერთობლივი საქმიანობისათვის და არ წარმოადგენს სამეწარმეო და კომერციული საქმიანობის ამხანაგობას. იგი მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და ამ ხელშეკრულების დებულების შესაბამისად. ამხანაგობის შექმნის მიზანია მიცკევიჩის ქუჩაზე აუქციონის გზით მიწის ნაკვეთის შეძენა და მრავალსართულიანი ბინათმშენებლობის განხორციელება ამხანაგობის წევრებისათვის. ამ მიზნებისათვის ამხანაგობის წევრების მიერ შემოტანილია 100000 აშშ დოლარი.

საცხოვრებელი და საოფისე შენობის მშენებლობა მოიცავს, შენობის სრული კარკასის აღმართვას, ყველა აუცილებელი კომუნიკაციების მიერთებას, გარე ფასადის კარ-ფანჯრებით აღჭურვას და საერთო სარგებლობის ფართების (კიბის უჯრედები, სახურავი) მოპირკეთებას. ამხანაგობის საერთო მიზანში არ შედის თითოეული საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართის შიდა მოპირკეთება და კეთილმოწყობა, აღნიშნული მოვალეობა ეკისრება შესაბამისი ფართის მესაკუთრეს.

1.2. მესამე პირებთან ურთიერთობის გამარტივებისა და იდენტიფიკაციის მიზნისათვის, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივ-საქმიანობას-მხანაგობას ეწოდება ამხანაგობა ,,საბურთალო 2006" (შემდგომში მოიხსენება, როგორც ,,ამხანაგობა")

1.3. ,,ამხანაგობის" მართვის ორგანოს ადგილსამყოფელია თბილისი, ყაზბეგის 16

2. შენატანი ამხანაგობაში

2.1 ,,ამხანაგობაში" გაწევრიანების მიზნისათვის და ,,პროექტის" განსახორციელებლად, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები განახორციელებენ შენატანებს ამხანაგობაში, როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი (არაფულადი) და არამატერიალური ქონების სახით. აღნიშნული შენატანები წარმოადგენს ამხანაგობის საკუთრებას და უნდა მოხმარედეს მხოლოდდამხოლოდ ,,ამხანაგობის" საერთო მიზნის გამნხორციელებას.

2.2 შენატანები ,,ამხანაგობაში" წარმოადგენს ,,ამხანაგობის" წევრთა საერთო წილობრივ საკუთრებას, რომელშიც თითოეული წევრის წილი განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

3. ამხანაგობის მმართველი ორგანოები

3.1. სამართლებრივი უფლებების და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, ,,ამხანაგობის" წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: ,,დამფუძნებელი წევრები" და ,,ჩვეულებრივი წევრები,,.
3.2. ,,დამფუძნებელ წევრებს" განეკუთვნებიან ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული პირები, რომელთა ინიციატივიტაც შეიქმნა ამხანაგობა და რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ამხანაგობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მართვაზე.
3.3. ,,ჩვეულებრივი წევრები" იქნებინ ის პირები, რომლებიც ,,ამხანაგობის" წევრები გახდებიან შემდგომში, ,,დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილების შესაბამისად.
3.4. ,,ამხანაგობის" მართვის ორგანოებია: ა) ამხანაგობის",,დამფუძნებელ წევრთა" კრება; ბ) გამგეობა; გ) ამხანაგობის თავჯდომარე.

4. დამფუძნებელ წევრთა კრება

4.1. ,,დამფუძნებელ წევრთა" კრება არის ,,ამხანაგობის" მმართველობის უმაღლესი ორგანო;
4.2. ,,დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრება მოიწვევა საჭირობისამებრ, ,,ამხანაგობის" თავჯდომარის, ან რომელიმე ,,დამფუძნებელი წევრის" მოთხოვნით.
4.3. ,,დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ,,დამფუძნებელ წევრთა" რიცხვითი რაოდენობის 2/3-ის თანხმობა.
4.4. ,,დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციას განეკუთვნება:
–ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრთა მიღება, გამგეობის წევრებისა და ამხანაგობის თავჯდომარის არჩევა.
–გამგეობის ფინანსური ანგარიშის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება;
–ძირითად ორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;
–გამგეობისა და ამხანაგობის საერთო კრების მიერ შემოტანილი საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

5. ამხანაგობის გამგეობა. გამგეობის თავჯდომარე

5.1. ,,ამხანაგობის" მმართველ (აღმასრულებელ) ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის გამგეობა.
5.2. ,,ამხანაგობის" გამგეობა შედგება 4 წევრისაგან-თავჯდომარესა და 3 რიგითი წევრისაგან.
5.3. ამხანაგობის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით გამგეობის წევრად არჩეულნი არიან: ვაჟა ნადირაშვილი, ნუგზარ ბარბაქაძე,მურმან არაბიძე, იური გოცაძე.
5.4. გამგეობის ფუნქციებია:
–,,ამხანაგობის" მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
– მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;
– ურთიერთობების განხორციელება სამშენებლო კომპანიებთან;
–– ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა ,,პროექტის" მიმდინარეობის შესახებ;
–– ,,ამხანაგობისათვის" წინადადებების მომზადება ახალი წევრის მიღებისა და შესაბამისი შენატანისა და წილის განსაზღვრისათვის;
– სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ,,ამხანაგობის" ყოველდღიურ საქმიანობასთან;
5.5. ამხანაგობის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავჯდომარედ არჩეულია ვაჟა ნადირაშვილი.
5.6. ,,ამხანაგობის" გამგეობის თავჯდომარე გამგეობის სხვა წევრებთან შეთანხმებით ახორციელებს იგივე საქმიანობას, რასაც ,,ამხანაგობის" გამგეობა. ამასთან, გამგეობის თავჯდომარეს გააჩნია ,,ამხანაგობის" წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ,,ამხანაგობა" ნებისმიერ მესამე პირებთან

ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. დატვირთოს იპოთეკით ამხანაგობის ქონება, აიღოს საბანკო კრედიტი და დაფაროს იგი განსაზღვრულ ვადებში.

5.7. იმ საკითხებთან მიმართებით, რაც განეკუთვნება „დამფუძნებელ წევრთა" კრების და წევრთა საერთო კრების კომპეტენციას, გამგეობის თავმჯდომარე საჭიროებს ამ ორგანოთა თანხმობას.

5.8. გამგეობის თავმჯდომარე გამგეობის სახელით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე;

5.9. გამგეობის თავჯდომარე ხელს აწერს ნებისმიერ გარიგებას „ამხანაგობის" სახელით;

6. ამხანაგობის ფინანსური საქმიანობა

6.1. ამხანაგობის ფინანსური საქმინობა ხორციელდება არაამეწარმეო-ეკონომიური ამხანაგობისათვის საფინანსო სფეროში დადგენილი საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ფაქტების შესაბამისად.

7. „ამხანაგობის" წევრთა შორის წილის განსაზღვრის მექანიზმი

7.1. "ამხანაგობის" წევრთა ძირითად მიზანს წარმოადგენს დასრულებულ შენობაში განსაზღვრული ოდენობის საცხოვრებელი (და არასაცხოვრებელი) ფართის საკუთრებაში მიიღება. შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა შორის წილთა გადანაწილება გამოისახება საკუთრებაში მისაღები საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მიხედვით.

7.2. "ამხანაგობაში" წილი, კერძოდ კი შენობის აშენების შემდგომ საკუთრებაში მისაღები საცხოვრებელი (ან არასაცხოვრებელი) ფართის ოდენობა, განლაგება და შენატანის ოდენობა განისაზღვრება "დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილებით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ფორმითა და მექანიზმით.

7.3. მშენებლობის დამთავრებისა და შენატანების სრულად განხორციელების შემდეგ დგება თანასაკუთრების ტაბულა და წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის.

7.4. "ამხანაგობის თანასაკუთრების ტაბულაში" ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება, "დამფუძნებელ წევრთა" კრების გადაწყვეტილებით.

8. ამხანაგობის წევრები და მათი ძირითადი უფლება-მოვალეობები

8.1. ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ამხანაგობის წევრი უნდა აღიარებდეს და ეთანხმებოდეს წინამდებარე "ამხანაგობის" ხელშეკრულებას და მასში მითითებულ უფლება-მოვალეობებს.

8.2. "ამხანაგობის" წევრად გახდომის ფაქტით, ნებისმიერი ასეთი პირი ადასტურებს, რომ იგი ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრლების პირობებს და მას მიიჩნევს სავალდებულოდ.

8.3. "ამხანაგობის" თითოეულ წევრთან ამხანაგობის თავმჯდომარე აფორმებს შეთანხმებას ამხანაგობაში შენატანის შეტანის შესახებ;

8.4. "ამხანაგობის" წევრის მიღებისას "დამფუძნებელ წევრთა" კრება განსაზღვრავს მისაღები წევრის წილს, საკუთრებაში მისაღები ქონების იდენტიფიკაციით.

8.5. "დამფუძნებელ წევრთა" კრება განსაზღვრავს ყოველი წევრის შენატანის ოდენობასა და ფორმას, მისი განხორციელების გრაფიკის ჩათვლით.

8.6. "ამხანაგობის" ყოველი წევრი ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში და ოდენობით განახორციელოს დათქმული შენატანები ამხანაგობაში.

8.7. "ამხანაგობის" თითოეული წევრი, საკუთარი ფართის განკარგვისას, ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ მოიმოქმედოს არაფერი, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას. ეს განსაკუთრებით ეხება შენობის გარე ფასადს.

9. ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა. ამხანაგობის წევრის გარიცხვა და წილის კომპენსაცია.

9.1. "ამხანაგობის" წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის წევრობიდან, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, შენატანის შეტანის თაობაზე.

9.2. "ამხანაგობის" წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის რიგებიდან იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ ემორჩილება და სისტემატურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებათ ამხანაგობის დანარჩენ წევრებს.

9.3. შენატანის განუხორციელებლობისას ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ამხანაგობის გამგეობა (ან გამგეობის თავმჯდომარე) ამგვარ წევრს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შენატანის გასახორციელებლად თუ დათქმულ ვადაშიც შენატანი არ განხორციელდება გამგეობა წინადადებით შევა "დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრებაზე დამრღვევი პირის გარიცხვის შესახებ.

9.4. წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მას ჩამოერთმევა შესაბამისი წილი.

9.5. წევრის გარიცხვის შედეგად გამონთავისუფლებული ფართი შემდგომში განთავსდება საერთო წესით "დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილებით.

9.6. "ამხანაგობიდან" გარიცხვისას, წევრს უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა. ამასთან, დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% (ათი პროცენტი) და სანოტარო და საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯები. თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წევრის გარიცხვის შედეგად გამონთავისუფლებული ფართი განთავსებული იქნება.

10. „ამხანაგობის" წევრის წილის განკარგვა

10.1. „ამხანაგობის" წევრები აცხადებენ თანხმობას იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია გაასხვისოს საკუთარი წილი ამხანაგობაში „ჩვეულებრივ წევრთა" თანხმობის გარეშე.

10.2. ამხანაგობის წევრის მიერ წილის გასხვისებისათვის აუცილებელია „დამფუძნებელ წევრთა" თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს ნებისმიერ შემთხვევაში გარდა იმისა, როდესაც არსებობს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პატივსადები მიზეზი.

10.3. ამხანაგობის წევრის მიერ წილის გასხვისებისას „დამფუძნებელი წევრები" სარგებლობენ წილის შეძენის უპირატესი უფლებით.

10.4. წილის ახალი შემძენი ვალდებულია დაეთანხმოს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიიღოს მასში გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა. წილის შემძენზე გადადის ყველა ის ვალდებულება, რაც წილთან დაკავშირებით გააჩნდა წინა წევრს.

11. „ამხანაგობიდან" გასვლა

11.1. ნებისმიერ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს „ამხანაგობიდან", რაც არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

11.2. „ამხანაგობიდან" გასვლის მსიურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს გამგეობას. გამგეობა მოცემულ საკითხს განსახილველად გადასცემს „დამფუძნებელ წევრთა" კრებას, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის „ამხანაგობდან" გასვლის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილება წევრის „ამხანაგობდან" გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან 45 დღის ვადაში.

11.3. წევრს გასვლის შედეგად უკან უბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი შენატანები, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისათვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, გასვლის შედეგად გამონთავისუფლებული ფართის შემდგომ განთავსებამდე.

12. ერთობლივი საქმიანობის ვადა

12.1. წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, როდესაც: ა) დასრულდება შენობის მშენებლობა; ბ) იგი მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) ყველა წევრი რეგისტრირებული იქნება, როგორც შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრე საქართველოს საჯარო რეესტრი; დ) სრულად იქნება შესრულებული წევრების ფინანსური ვალდებულებები „ამხანაგობის" მიმართ.

12.2. ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წევრები განიხილებიან როგორც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა და კისრულობენ ვალდებულებას გააფორმონ ურთიერთშორის შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დავა

13.1. ამ ხელშეკრულებს მოქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით და კონსენსუსის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. „ამხანაგობის" დოკუმენტაციის აღრიცხვა

14.1. ამხანაგობის ხელმძღვანელი ვალდებულია აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც სავალდებულო წესით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი
ბ) ამხანაგობის აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;
გ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების ტაბულა;

დამფუძნებლები:

მურმან არაბიძე – (დაბ. 1955წ. ბორჯომი, პირადი №01006000170 პ/მ №გ 0028544 გაც. ფბილისი, დიდუბის შს 1-ქვ, მიერ 30.11.1994წ. მცხ. თბილისი, დ/მ, 6-კვ, 21-კორ, ბ-15)

ნუგზარ ბარბაქაძე – (დაბ. 16.07.1954წ. ორჯონიკიძე, პირადი №01009011077 პ/მ №ა 0782646 გაც. ვაკის მოს/რეგ სამ, მიერ 06.10.2005წ. მცხ. თბილისი, ვ. ფშაველას 47, 10-კორ, ბ-18)

ვასილ ლომიძე – (დაბ. 06.01.1979წ. ხარაგაული, პირადი №56001001140 პ/მ №ა 0043793 გაც. ხარაგაულის შსგ. მიერ 29.05.1996წ. მცხ. ხარაგაულის რ/ნ, ს. ხუნევი)

გიორგი გოცაძე – (დაბ. 19.01.1982წ. თბილისი, პირადი №01002011521 პ/მ №ბ 034164 გაც. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის შსგ 2-ქვ. მიერ 31.01.2002წ. მცხ. თბილისი, გლდანი, 6-მ/რ, 18-კორ, ბ-7)

გიორგი გოცაძე

იური გოცაძე – (დაბ. 08.06.1958წ. თერჯოლა, პირადი №01002011520 პ/მ №ა 0509572 გაც. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის შს 2-ქვ. მიერ 15.04.2004წ. მცხ. თბილისი, გლდანი, 6-მ/რ, 18-კორ, ბ-7)

იური გოცაძე

ვაჟა ნადირაშვილი – (დაბ. 07.08.1939წ. თბილისი, პირადი №01024035369 პ/მ №გ 0334219 გაც. თბილისი, ვაკე-საბურთალოს შს 1-ქვ. მიერ 30.07.2001წ. მცხ. თბილისი, ბახტრიონის 13, ბ-102)

ვაჟა ნადირაშვილი

თამარ გოცირიძე – (დაბ. 16.07.1974წ. თბილისი, პირადი №01021005122 პ/მ №ბ 0601783 გაც. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის შს 6-ქვ. მიერ 05.11.2004წ. მცხ. თბილისი, თ/დ, 4-მ/რ, 5-კორ, ბ-72)

თამარ გოცირიძე

ლევან ნადირაშვილი – (დაბ. 12.01.1975წ. თბილისი, პირადი №01024030773 პ/მ №გ 0265375 გაც. თბილისი, საბურთალოს შს. მიერ 05.02.2000წ. მცხ. თბილისი, ბახტრიონის №13, ბ-102)

ლევან ნადირაშვილი

ნუგზარ კახიშვილი – (დაბ. 25.08.1944წ. მცხეთა, პირადი №01024008643 პ/მ №ბ 0516389 გაც. თბილისი, ვაკე-საბურთალოს შს 1-ქვ. მიერ 27.05.2004წ. მცხ. თბილისი, შარტავას 45, ბ-48)

ნუგზარ კახიშვილი

გელა არაბიძე – (დაბ. 20.07.1987წ. თბილისი, პირადი №01006018993 პ/მ №ბ 0517590 გაც. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის შს 1-ქვ. მიერ 14.06.2004წ. მცხ. თბილისი, დ/მ, 6-კვ, 21-კორ, ბ-15)

გელა არაბიძე

სანოტარო აქტი

*რეესტრში რეგისტრაციის №*1-112

საქართველო

ორიათასექვსი წლის ოცდასამ იანვარს, მე ქეთევან ხოტივარს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ბულაჩაურის ქ. 7ა, მომმართეს *ვაჟა ნადირაშვილმა, ნუგზარ ბარბაქაძემ, მურმან არაბიძემ, იური გოცაძემ, ნუგზარ კახიშვილმა, ლევან ნადირაშვილმა, თამარ გოცირიძემ, გიორგი გოცაძემ, გელა არაბიძემ და ვასილ ლომიძემ,* რომლებმაც განაცხადეს, რომ არიან ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საბურთალო 2006"-ის დამფუძნებლები და მოითხოვეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებაზე თავიანთი ხელმოწერების ნოტარიალური დადასტურება.

მე შევამოწმე მათი პირადობები წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *ვაჟა ნადირაშვილმა* (დაბ. 07.08.1939წ. თბილისი, პირადი №01024035369 პ/მ №გ 0334219 გაც. თბილისი, ვაკე-საბურთალოს შს 1-ქვ. მიერ 30.07.2001წ. მცხ. თბილისი, ბახტრიონის 13, ბ-102), *ნუგზარ ბარბაქაძემ* (დაბ. 16.07.1954წ. ორჯონიკიძე, პირადი №01009011077 პ/მ №ა 0782646 გაც. ვაკის მოს/რეგ სამ, მიერ 06.10.2005წ. მცხ. თბილისი, ვ. ფშაველას 47, 10-კორ, ბ-18), *მურმან არაბიძემ* (დაბ. 1955წ. ბორჯომი, პირადი №01006000170 პ/მ №გ 0028544 გაც. თბილისი, დიდუბის შს 1-ქვ, მიერ 30.11.1994წ. მცხ. თბილისი, დ/მ, 6-კვ, 21-კორ, ბ-15), *იური გოცაძემ* (დაბ. 08.06.1958წ. თერჯოლა, პირადი №01002011520 პ/მ №ა 0509572 გაც. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის შს 2-ქვ. მიერ 15.04.2004წ. მცხ. თბილისი, გლდანი, 6-მ/რ, 18-კორ, ბ-7), *ნუგზარ კახიშვილმა* (დაბ. 25.08.1944წ. მცხეთა, პირადი №01024008643 პ/მ №ბ 0516389 გაც. თბილისი, ვაკე-საბურთალოს შს 1-ქვ. მიერ 27.05.2004წ. მცხ. თბილისი, შარტავას 45, ბ-48), *ლევან ნადირაშვილმა* (დაბ. 12.01.1975წ. თბილისი, პირადი №01024030773 პ/მ №გ 0265375 გაც. თბილისი, საბურთალოს შს. მიერ 05.02.2000წ. მცხ. თბილისი, ბახტრიონის №13, ბ-102), *თამარ გოცირიძემ* (დაბ. 16.07.1974წ. თბილისი, პირადი №01021005122 პ/მ №ბ 0601783 გაც. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის შს 6-ქვ. მიერ 05.11.2004წ. მცხ. თბილისი, თ/დ, 4-მ/რ, 5-კორ, ბ-72), *გიორგი გოცაძემ* (დაბ. 19.01.1982წ. თბილისი, პირადი №01002011521 პ/მ №ბ 034164 გაც. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის შსგ 2-ქვ. მიერ 31.01.2002წ. მცხ. თბილისი, გლდანი, 6-მ/რ, 18-კორ, ბ-7), *გელა არაბიძემ* (დაბ. 20.07.1987წ. თბილისი, პირადი №01006018993 პ/მ №ბ 0517590 გაც. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის შს 1-ქვ. მიერ 14.06.2004წ. მცხ. თბილისი, დ/მ, 6-კვ, 21-კორ, ბ-15) *და ვასილ ლომიძემ* (დაბ. 06.01.1979წ. ხარაგაული, პირადი №56001001140 პ/მ №ა 0043793 გაც. ხარაქგაულის შსგ. მიერ 29.05.1996წ. მცხ. ხარაგაულის რ/ნ, ს. ზუნევი) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებაზე, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური 522,50 *ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი. 11.06.1998წ. №1417 IIს)*

ნოტარიუსი: ქეთევან ხოტივარი

ნოტარიუსი ქ.თბილისში ქეთევან ხოტივარი
KETEVAN KHOTIVARI
НОТАРИУС В г. ТБИЛИСИ КЕТЕВАН ХОТИВАРИ
NOTARY IN TBILISI
7ª, BULACHAURI St., TBILISI, GEORGIA
ГРУЗИЯ. г. ТБИЛИСИ, ул. БУЛАЧАУРИ 7ª
საქართველო



ბინათმშენებლობის ამხანაგობა
„საბურთალო 2006"– ის დამფუძნებელ წევრთა კრების
ოქმი №38

ქ. თბილისი 18 ოქტომბერი 2010წ.

კრებას ესწრებოდნენ: ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრები:
მურმან არაბიძე, ვაჟა ნადირაშვილი,
თამარ გოცირიძე, ლევან ნადირაშვილი,
ნუგზარ კახიშვილი, გელა არაბიძე,
იური გოცაძე,

კრების თავმჯდომარე: ვ. ნადირაშვილი
კრების მდივანი: ნ. კახიშვილი

დღის წესრიგი: ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შესახებ.

მოისმინეს: ამხანაგობის თავმჯდომარის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამხანაგობის ზოგიერთი წევრი მოწყდა ამხანაგობის საქმიანობას, კერძოდ ნუგზარ ბარბაქაძე, ვასილ ლომიძე, გიორგი გოცაძე, იური გოცაძე. მათ არ განახორციელეს დადგენილი შენატანი, რითაც ფაქტობრივად უარი განაცხადეს ბინათმშენებლობაში მონაწილეობაზე და ბინების მიღებაზე. ამიტომ საჭიროა ისინი გაირიცხონ დამფუძნებელ წევრთა შემადგენლობიდან.

აზრი გამოთქვეს: მ. არაბიძემ, ნ. კახიშვილმა, ლ. ნადირაშვილმა.

დაადგინეს: 1. გამოყვანილ იქნან ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა რიგებიდან ნუგზარ ბარბაქაძე, ვასილ ლომიძე, გიორგი გოცაძე, იური გოცაძე.
2. დაევალოს ამხანაგობის თავმჯდომარეს ვ. ნადირაშვილს მოახდინოს საგადასახადო ინსპექციაში სათანადო ცვლილებები.

თავმჯდომარე: ვაჟა ნადირაშვილი /ვ. ნადირაშვილი/

მდივანი: ნუგზარ კახიშვილი /ნ. კახიშვილი/

დამფუძნებლები: მ. არაბიძე მურმან არაბიძე გ. არაბიძე გელა არაბიძე

თ. გოცირიძე თამარ გოცირიძე ი. გოცაძე იური გოცაძე

ლ. ნადირაშვილი
ლევან ნადირაშვილი

ორიათას ათი წლის თვრამეტ ოქტომბერს, მე, ნოტარიუსს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. № 6, პირველ სართულზე მომმართეს იური გოცაძემ, ვაჟა ნადირაშვილმა, ნუგზარ კახიშვილმა, გელა არაბიძემ, ლევან ნადირაშვილმა, თამარ გოცირიძემ და მურმან არაბიძემ. მათ წარმოადგინეს ბინათმშენებლობის ამხანაგობა "საბურთალო 2006"-ის დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი №38 18.10.2010წ. სამ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობები მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტებით: იური გოცაძე - დაბადებული 08.06.1958 წ. თერჯოლაში, პირადი №01002011520, მცხოვრები: ქ. თბილისი, გლდანი VI მ/რ, კორპ. 18, ბინა 7; ვაჟა ნადირაშვილი - დაბ. 07. 08. 1939 წ. თბილისში, პირადი № 01024035369, მცხოვრები თბილისი, ბახტრიონის ქ. №13, ბინა 102; ნუგზარ კახიშვილი - დაბადებული 25.08.1944 წ. მცხეთაში, პირადი №01024008643, მცხოვრები: ქ. თბილისი, ფასანაურის ქ. №11; გელა არაბიძე - დაბადებული 20.07.1987 წ. თბილისში, პირადი №01006018993, მცხოვრები: ქ. თბილისი, დიღმის მასივი 6 კვ. 21 კორპ. ბინა 15; ლევან ნადირაშვილი - დაბადებული 12.01.1975 წ. თბილისში, პირადი №01024030773, მცხოვრები: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №13, ბინა 102; თამარ გოცირიძე - დაბადებული 16.07.1974 წ. თბილისში, პირადი №01021005122, მცხოვრები: ქ. თბილისი, თდ 4 მრ. 5 კორპ. ბინა 72; მურმან არაბიძე - დაბადებული 09.09.1956 წ. ბორჯომში, პირადი №01006000170, მცხოვრები: ქ. თბილისი, დიღმის მასივი 6 კვ. კორპ. 21, ბინა 15. მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე, რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ **(ხელმოწერის ნამდვილობა შესრულებულია 2010 წლის 18 ოქტომბერს).**

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 1998 წლის 11 ივნისს № 1417 29-ე მუხლისა ორმოცდაორი ლარი და სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე 2009 წლის 4 დეკემბრის კანონის 31[1] მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ გადახდილია ორმოცდაოთხი ლარი.

ნოტარიუსი **/ინგა ხარძიანი/**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N101050629
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.10.2010 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ინგა ხარძიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	30 89 30; მაგთი ფიქსი: 8 90 76 16 51; მობ: 8 99 50 28 34;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	84403957087710

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ბინათმშენებლობის ამხანაგობა
„საბურთალო 2006"– ის დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი №44

ქ. თბილისი

10 ოქტომბერი 2016წ.

კრებას ესწრებოდა ყველა წევრი: ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრები:
მურმან არაბიძე, ვაჟა ნადირაშვილი,
თამარ გოცირიძე, ლევან ნადირაშვილი,
ნუგზარ კახიშვილი, გელა არაბიძე.
სულ ექვსი წევრი.

კრების თავმჯდომარე: ვ. ნადირაშვილი
მდივანი: მ. არაბიძე

დღის წესრიგი: ამხანაგობა „საბურთალო 2006"-ის მშენებლობის მე-2 ეტაპის მე-3 კორპუსის შეთანხმებული პროექტის ცვლილების შესახებ.

მოისმინეს: ამხანაგობის თავმჯდომარის ვაჟა ნადირაშვილის ინფორმაცია:

მშენებლობის მე-2 ეტაპი მე-3 კორპუსი შეთანხმებული იყო ქალაქის არქიტექტურის სამსახურთან და გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა (ბრძანება 1151145 2014წლის 4 მარტი).

სამუშაოების წარმოების დაწყების ღროს წარმოიშვა წინააღმდეგობები მოსახლეობის მხრიდან, რადგან ისინი თვლიან, რომ მათ ეკეტებათ შემოსასვლელი გზა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მათ კორპუსებთან მისასვლელი ორი გზა, რაც ასევე დაადასტურა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ.

ყოველივე ამის გამო არქიტექტურის სამსახურმა მოითხოვა ამხანაგობა „საბურთალო 2006"-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან 415კვ.მ დაეტვირთა სერვიტუტით, რათა ყოფილიყო საერთო სარგებლობის გზა, გამავალი ალ. ყაზბეგის გამზირიდან მიცკევიჩის ქუჩამდე.

ამან გამოიწვია მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება და საპროექტო შენობის გაბარიტების შემცირება. საჭიროა პროექტი ხელმეორედ შეთანხმდეს არქიტექტურის სამსახურთან.

დაადგინეს ერთხმად: მოხდეს პროექტის კორექტირება მიცკევიჩის ქუჩის მხრიდან გაბარიტების შემცირებით და შეტანილი იქნეს არქიტექტურის სამსახურში შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

თავმჯდომარე: /ვ. ნადირაშვილი/

მდივანი: /მ. არაბიძე/

ორიათას თექვსმეტი წლის ათ ოქტომბერს, მე ნიკოლოზ მალაშხიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართეს ვაჟა ნადირაშვილმა და მურმან არაბიძემ. მათ წარმოადგინეს ბინათმშენებლობის ამხანაგობა "საბურთალო 2006"-ის დამფუძნებელ წევრთა 2016 წლის 10 ოქტომბრის კრების ოქმი № 44 და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: ვაჟა ნადირაშვილი – დაბ. 07.08.1939წ., პირადი № 01024035369, მცხ. ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. № 29, ბ. 36; მურმან არაბიძე – დაბ. 09.09.1956წ., პირადი № 01006000170, მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მას. VI კვ., კორპ. 21, ბ. 15. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე განვუმარტე, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე, მის შინაარსზე და ხელმომწერების ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი დოკუმენტზე, რასაც ვამოწმებ.

სანოტარო საზღაური, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 თანახმად ორი ეგზ. გადახდილია 8.0 ლარი და მუხლი 39 თანახმად რეგისტრაციის საფასური 2.0 ლარი, სულ გადახდილია 10.0 ლარი.

ნოტარიუსი



აკინძულია და
ზონრგაყრილია

ფურცელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N161168812
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.10.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნიკოლოზ მალაშხია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2377321; მობ: 599561242
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28508612932516

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18